საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-295

02/04/2019

ქ. თბილისი

გარდაბნის მუნიციპალიტეტში ფიზიკური პირი რამაზ ჭუმბურიძის წყალსაცავის (თევზსაშენი ტბორების) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

ფიზიკური პირის რამაზ ჭუმბურიძის მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია თევზსაშენი ტბორების (წყალსაცავის) მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ თევზსაშენი ტბორები მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვებაში ფიზიკური პირი გელა კაპანაძის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 169 597 $მ^2$ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 81.07.04.249 / GPS კოორდინატები: X - 502720.00 Y - 46111960.00), რომლის ნაწილი დაახლოებით 36 000 $მ^2$ იჯარით აქვს აღებული მოქალაქე რამაზ ჭუმბურიძეს. აღნიშნულ ტერიტორიაზე წარმოდგენილია 18 500 $მ^3$ საერთო მოცულობის ორი თევზსაშენი ტბორი შესაბამისი ინფრასტრუქტურული ერთეულებით. ობიექტიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 1,9 კმ-ით, ვაზიანი სამხედრო აეროდრომი მდებარეობს 2 კმ-ში.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად თევზსაშენი ტბორების მშენებლობა დაიწყო 2019 წლის იანვარში. ამჟამად არსებულ ტერიტორიაზე უკვე მოწყობილია ორი თევზსაშენი ტბორი. პირველი ტბორის სიგრძეა 120 მ, სიგანე 60-80 მ, ზედაპირის ფართობია 8 400 $მ^2$ საშუალო სიღრმით 0,80 მ. მეორე ტბორის სიგრძეა 130 მ, სიგანე 80 მ, ზედაპირის ფართობია 10 400 $მ^2$ საშუალო სიღრმით 1,5 მ. აღნიშნული ტბორები ერთმანეთთან დაკავშირებულია კასკადური დამბით. დამბის მარცხენა კუთხეში დამონტაჟებულია 540 სმ დიამეტრიანი მილი, რომლითაც ხდება მეორე ტბორის წყალმომარაგება. ორივე ტბორში დატოვებულია 2000-2000 $მ^2$ კუნძულები, რომელიც დაფარულია წყლით 30-დან 80 სმ სიმაღლეზე. პირველი ტბორის წყლის მოცულობაა 5500 $მ^3$, ხოლო მეორესი 13 000 $მ^3$, ჯამში 18500 $მ^3$.

ობიექტის წყალმომარაგება ხდება გარდაბნის რაიონის სამელიორაციო არხის გ-7 გამშვებიდან საქართველოს მელიორაციასთან სარწყავი არხიდან წყალაღების შეთანხმების საფუძველზე. წყალმომარაგების ინტენსივობაა დაახლოებით 10 ლ/წამში. ობიექტზე წყლის გამოყენება ხდება ტბორების დაცლის შემთხვევაში ხელახალი შევსებისთვის და

საყოფაცხოვრებო-სამეურნეო მიზნებისთვის. სასმელი წყლისთვის გამოიყენება პოლიეთილენის ბოთლები.

სკრინინგის განცხადების მიხედვით ტბორების მოწყობისთვის უკვე ჩატარებულია მიწის სამუშაოები. ორივე ტბორი შევსებულია წყლით. პირველ ტბორში ბინადრობს: 200 თეთრი ამური (5-დან 25 კგ-მდე). 500 კობრი (500 გ-დან 5 კგ-მდე), 300 ჭრელი სქელშუბლა (1,5 კგ-დან 3 კგ-მდე) და 15 ლოქო (2-დან 6 კგ-მდე), ასევე მცირე რაოდენობით ფსევდორაზია, კარჩხანა, ქაშაპი და თაღლითა. ორივე ტბორიდან მოსალოდნელია წელიწადში 10 ტონა თევზის წარმოება.

ობიექტზე პირველი ტბორის დაცლა პრაქტიკულად არ ხდება. 1-2 წელიწადში ერთხელ შესაძლებელია მოხდეს 13000 $მ^3$ მოცულობის ტბორის დაცლა. აღნიშნული წყლის ჩაშვება მოხდება სამელიორაციო არხში სადრენაჟე ქსელის გავლით. ობიექტზე დაგეგმილია გამომსვლელი წყლისთვის ბეტონის აუზის მოწყობა, აღნიშნული ბეტონის აუზი აღჭურვილი იქნება სხვადასხვა ზომის ფილტრებით თევზის დაკარგვის თავიდან ასაცილებლად.

თევზსაშენი ტბორების მიდებარედ დაგეგმილია ქარსაცავი ზოლის და ხეხილის ბაღის გაშენება, მიწაყრილი დამბების ხელოვნური გამწვანება, საყარაულო ხის კოტეჯის დადგმა, ფანჩატურის მოწყობა, 4 სადედეს მოწყობა ზომით - სიგრძე 10 მ, სიგანე 4 მ, უკონტროლო ქვირითობის თავიდან აცილებისა და მათი ხელოვნური განაყოფიერების მიზნით.

წარმოდგენილი ინფორმაციით ტერიტორია თავისუფალია მცენარეული საფარისგან. პროექტის განხორციელება არ ითვალისწინებს მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას.

პროექტის განხორციელება არ საჭიროებს დამატებითი მისასვლელი გზების მშენებლობას და გამოყენებული იქნება არსებული გზები. მიწის სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მოიხსნება და გამოყენებული იქნება ხეხილის ბაღის გაშენებისათვის გამოყოფილი ტერიტორიის მოსაწყობად და გამწვანების ზონებისთვის.

ობიექტზე დაგეგმილია წყალმომარაგებისა და კანალიზაციის შიდა სისტემის მოწყობა. სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაშვება მოხდება ბეტონის ამოსაწმენდ ჭებში.

ობიექტის ელექტროენერგიით მომარაგება მოხდება შპს „ენერგო პრო ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების გაფრქვევას ადგილი არ ექნება. საქმიანობა არ ითვალისწინებს ხმაურის გამომწვევი დანადგარების განთავსებას და გამოყენებას. კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ მდებარეობს ჭარბტენიანი, ტყით დაფარული და დაცულ ტერიტორიები, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის წარმოდგენილი მრავალწლოვანი ხე-მცენარეები და არც წითელი ნუსხის სახეობები.

საქმიანობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის შემოგარენში არ არის წარმოდგენილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

საქმიანობის მასშტაბის, ადგილმდებარეობის და სპეციფიკიდან გამომდინარე, წყალსაცავის (თევზსაშენი ტბორების) მოწყობა და ექსპლუატაცია გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ გამოიწვევს, თუ უზრუნველყოფილი იქნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ფიზიკური პირი რამაზ ჭუმბურიძის წყალსაცავის (თევზსაშენი ტბორების) მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ფიზიკური პირი რამაზ ჭუმბურიძე ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ფიზიკურმა პირმა რამაზ ჭუმბურიძემ სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში უზრუნველყოს სამელიორაციო არხში ჩამდინარე წყლების ჩაშვების შესახებ არხის მფლობელთან შეთანხმება;
4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ფიზიკურ პირ რამაზ ჭუმბურიძეს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს ფიზიკურ პირი რამაზ ჭუმბურიძის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი